დანართი N18

პერინატალური სერვისები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს

დღეისათვის არ არის ცნობილი, იმყოფებიან, თუ არა ორსული ქალები COVID-19-ით დაინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ, თუმცა, რამდენადაც ორსულობის დროს ორგანიზმი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებაც შეიძლება გაზარდოს ზოგიერთი ინფექციის რისკი, მნიშვნელოვანია მათი დაცვა კორონავირუსული ინფექციისაგანაც. შესაბამისად, ეპიდემიური სიტუაციის პირობებში ყველა ანტე- და პერინატალური სერვისის მიმწოდებელმა დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ანტენატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება თავის დაწესებულებაში აღრიცხვაზე მყოფ ყველა ორსულთან ამყარებს კომუნიკაციას (ტელეფონით, ინტერნეტით და სხვა ნებისმიერი ხელმისაწვდომი დისტანციური საშუალებით) და აწვდის რეკომენდაციებს COVID-19 პანდემიის პირობებში უსაფრთხოებისა და სამედიცინო დაწესებულებასთან ურთიერთობის წესების შესახებ;

ბ) ორსულობის პერიოდში მწვავე რესპირატორული სიმპტომების (ყელის სიმშრალე, მშრალი ხველა, ტემპერატურა, ფაღარათი) გამოვლენისას პირველადი კომუნიკაცია ოჯახის ექიმთან/მეან-გინეკოლოგთან ხორციელდება სატელეფონო კონსულტაციის საშუალებით, რომლის დროსაც ხდება დეტალური ანამნეზის შეკრება, როგორც პაციენტის ჩივილების, ისე COVID-19-ით დაინფიცირებისათვის სარისკო კონტაქტების (მათ შორის მოგზაურობის ისტორიის) არსებობის გამოვლენის მიზნით;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც, ანამნეზით COVID-19-ით დაინფიცირების სარისკო კონტაქტი გამოირიცხება, ორსულის მართვა (საჭიროების შემთხვევაში ბინაზე) ხორციელდება პაციენტის მდგომარეობისა და ორსულობის ვადის გათვალისწინებით ოჯახის ექიმის მიერ შესაბამისი ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ ექიმ-მეან გინეკოლოგთან კომუნიკაციით;

დ) სამედიცინო დაწესებულებაში ორსულის ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

- მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სატელეფონო და ინტერნეტ-რესურსები ორსულის ექიმთან კონსულტაციისთვის;
- დაწესებულებაში ვიზიტი ჩანიშნულ იქნეს დროის ისეთ პერიოდში, როდესაც მაქსიმალურად გამოირიცხება სხვა პაციენტებთან ორსულის კონტაქტი;
- მაქსიმალურად იქნეს შეზღუდული ორსულების დამატებითი ვიზიტები;

- ორსულების ამბულატორიული მიღებისა და კონსულტირებისთვის გამოყენებული იქნეს ისეთი კაბინეტები, რომელთა მოსაცდელი გამიჯნულია დაწესებულების საერთო მოსაცდელი სივრცისგან;
- დაწესებულებაში ორსულის ვიზიტის დროს მას უნდა ეკეთოს ქირურგიული ნიღაბი და შესვლის წინ დაიმუშავოს ხელები ხელის ანტისეპტიკით/სანიტაიზერით;
- სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი ყველა პირი აღჭურვილი უნდა იყოს ქირურგიული ნიღბით და მკაცრად იცავდეს უსაფრთხოების სათანადო ზომებს.

ე) ყველა ორსული, რომლებიც წარმოადგენენ COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევას (მიუხედავად დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადისა), ექვემდებარება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციას;

ვ) COVID-19 ტესტის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ორსულის სტაციონარში ჰოსპიტალიზაციაზე გადაწყვეტილება მიიღება ოჯახის ექიმისა და ანტენატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების მეან გინეკოლოგის მიერ დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადის გათვალისწინებით;

ზ) ორსულები, რომლებიც იმყოფებიან კარანტინში/თვითიზოლაციაში, რესპირატორული ინფექციის ნიშნების (სიცხე, ხველა, ქოშინი და ა.შ) გამოვლენისთანავე ექვემდებარებიან მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციას მიუხედავად დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადისა.

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

<u>www.moh.gov.ge</u>
ცხელი ხაზი: 1505

<u>www.ncdc.ge</u>
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge